№ 237 | 19 ნოემბერი, კვირა | 1866—1878 | 19 ნოემბერი, კვირა | № 237

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., 6 ხევარ წლისა—4 მ.ნ. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს [illegible]

ფასი განცხადებისა: [illegible]ბით ახოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალს 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამმითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

Თფილისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба“.*

Აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — — — — — — — — —	8 მან.
ნახევარის წლისა— — — — — — — — — —	5 „
სამის თვისა — — — — — — — — — — —	3 „
ერთის თვისა — — — — — — — — — —	1 „

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი; უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

ხვალ, ორშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, მუხრანსკის სახლში, კლუბის ზალაში თფილისის ქართველები უმართავენ ხელის-მოწერით სადილს ბათუმიდამ მოსულს დეპუტაციასა.

ვისაც ჰსურს ამ სადილში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან ხელი მოაწეროს დღეს, საღამოს 5 საათამდინ, „დროების“ რედაქციაში ანუ შ. დ. ი. ყიფიანთან.

საქართველო

დღიური

*** გაზეთს „ობზორს“ მოსვლია შემდეგი ტელეგრამმები სიღნაღიდამ:

„17 ნოემბერს, დილის 11 საათზე. სიღნაღის არეულობის თაობაზე გამოძიება გაათავა სამხედრო სასამართლომ. Დღესვე ნასადილევის 4 საათზე, ბაასი დაიწყობა ადვოკატსა და პროკურორს შუა. Ბევრი ისეთი გარემოება აღმოჩნდა სასამართლოში, რომელიც ბრალდებულებს ამართლებს.“

„17 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე. სასამართლოს ბაასი გათავდა. ხვალ დილას სასამართლო გამოაცხადებს თავის გარდაწყვეტილებას.“

როგორც მოგეხსენებათ ამ სიღნაღის არეულობის თაობაზედ Დ. მ. ნამესტნიკის ბრძანებით, დანიშნული იყო სამხედრო სასამართლო, რომელშიაც ამ ნოემბრის 15-ს დაიწყო საქმის გარჩევა. Დღეს, შაბათს, ამათი საქმე უნდა გადაწყდეს, საუბედუროთ, მომავალ საშაბათამდინ ამგარდაწყვეტილებას ვერ ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

*** Გუშინდელს ქართულს წარმოდგენაზე, სხვათა შორის, დაესწრნენ ქობულეთის, Აჭარის და Ბათუმის დეპუტატები. მომეტებულის ნაწილის ამათთვის, როგორც ეტყობოდა, პირველი ნახვა იყო, არა თუ ქართული თეატრის, საზოგადოთ თეატრისა, და ამიტომ გაკვირვებით უყურებდნენ სცენაზე მოთამაშეებს. ზოგიერთები კი ხარხარობდნენ ხოლმე მოთამაშეების სასაცილო რამ სიტყვებზე ანუ მოქმედებაზე. საზოგადოთ ამათ ძალიან მოეწონათ ამ გვარი შექცევა.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება ქალებზედ ჰქონდათ მიქცეული. მაგრამ ამ საღამოს ლამაზი ქალები ცოტანი იყვნენ თეატრში ასე, ჩვენმა მანდილოსნებმა ვერ დაიმსახურეს იმათი ყურადღება.

*** „პეტერბურღის უწყებებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ჩვენსა და სპარსეთის მმართებლობას მოლაპარაკება აქვთ ერთმანეთში, რომ რკინის გზები, რომელსაც სპარსეთში აკეთებენ ახლა, ჩვენს გზებს შეუერთონ რკინის გზა, ამბობენ, Თეირანიდამ ენზელამდინ გაივლის; აქედამ Чასპიის ზღვამდინ უნდა მოიყვანონ და აქედამ კი Ბაქო-Თფილისის რკინის გზას შეუერთდება“.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ზემოხსენებული დეპუტაცია ახლად-შემოერთებულ Ოსმალოს საქართველოსა დღეს, კვირას, ბრუნდება Ბათუმში. Ამბობენ, რომ ისინი შეივლიან Ქუთაისში და რამდენიმე დღეს იქ დარჩებიანო.

*** Გაზ. „კავკაზი“ გვაცნობებს, ჩვენ შევიტყეთო, რომ რამდენთამე პირთ განზრახვა აქვთო, ფულები მოაგროვონ და ამ ნაირად თავის ხარჯით გამოზარდონ ათი ღარიბი ყმაწვილი იმ ახლად-გახსნილ მიხაილოვის რკინის გზის სასწავლებელში, რომელიც ახლად იხსნება ჩვენ Თფილისში.

„დროების“ კორრესპონდენცია

მაჭახელა, 8 ნოემბერს. Დღეს წავიკითხე აქ „დროების“ № 199-ში ბათუმიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც გაკვრით არის დაწერილი Აფხაზებზედ: „მათზე უსაცოდავესს ვერას ნახავს კაცი: უსახლ-უკაროთ, მშიერი, მწყურვალი ყრიან უმოწყალოთ ცოლ-შვილითო!

Უნდა მოგახსენოთ, რომ ბათუმი შემაძულა მე მათმა ყურებამ და მადლობა ღმერთს, რომ მოვშორდი და მაჭახელას მთაში ნადირივით გამოვიცქირები...

Აჰ ოთხი საუკუნეს განმავალობაში, მგონი პირველია ქრისტიანის ფეხის და-

დგმა ჩვენი აქ; მაჭახელები მეუბნებიან, რომ „თამარ-დედოფლის შემდეგ პირველი ქალი ჩვენ მემლექეთში (ქვეყანაში) დადის ახლა თქვენი ხანუმიო“ (ქალბატონი).

მაჭახელა სრულიად უცნობი არის ჩვენი ქვეყნისთვის და თითქმის მთელი ევროპისთვისაც. მარტაში მაჭახელას ადგილი ჯერ კიდევ ცარიელი ადგილია, სადაც სხვა გარეშემო ქვეყნები ოტა მაინც გაცნობილია და აწერილია.

მაჭახელა არ ჰკავს არც ომბულეთს, არც აჭარას, არც შავშეთს, არც მარადიდს, არც ჯანეთს და არც ლივანას. როგორც ხასიათით, ისე ადგილის მდებარეობით და ისტორიული ცხოვრებით ის განსხვავდება ამ ქვეყნებისაგან; განსხვავდება და შეადგენს სრულიად განსაკუთრებულ ხალხს, და საინტერესოსაც მრავალს—ვიპოვნით მათ ცხოვრებაში. ამბობენ, რომ ეს ქვეყანა იყო თამარ მეფის რეზიდენცია გაჭივრების დროსო.

ამისათვის, შეძლების და-გვარათ, ვეცდებით წარსული და აწმყო ცხოვრების ამბავი, გაცნობოთ.

ესლა ისევ აფხაზებს დაუბრუნდეთ.

უოველ დილაზე გაივლიდით თუ არა ბათუმში, გუბერნატორის კარების წინ, ნახავდით ქალებს და ბოვშებს, რომლებიც შიმშილისაგან დაყვითლებულები იხვეწებიან „ბაგეშვით! ბაგეშვით აფხაზეთში!“ გუბერნატორი ურიგებს ფულს რამდენიც შეუძლია, ხან ნახავდით პოლიციის წინ მინდორს სავსეს აფხაზებით და შებღავიან ამას. უფ. ბათუმის პოლიციმეისტერი ჟურულიც სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობდა მათ-და-სასარგებლოთ, ხან დაინახავდა ვისმე აფიცერს, შეეხვეწებოდა, რადგანაც ქალაქში თავისუფალი აფთექა არ არის და სახელმწიფო აფთიექიდან მხოლოდ აფიცრებს აძლევენ მუქ

წამალს, იმ აფიცრის სახელზე ქინაქინას გამოიწერდა და ავათმყოფ აფხაზებს ასმევდა. ხან რას და ხან რას. ერთ დღეს გავიარე უფ. პოლიციმეისტერი დამდგარა პოლიციის წინ და ვინც გამოიელის, შეძლების-და-გვარად მოსთხოვდა ფულს, ერთი სამი მანეთი მასესხეო და რომ მიცემდი, გეტყოდა: ამ აფხაზებს მოსთხოვეო! ამ ნაირათ იმ დღეს თუთხმეტ თუმნამდი შეკრიბა, იყიდა პური და გააძღო ჯერ მშიერი ხალხი და შემდეგ დაურიგა ფულები.

ეხლა მიამბეს აქ, მაჭახელში, რომ ვითომ აფხაზებს ნება მოსვლოდესთ აბხაზეთში დაბრუნებისა და გაეგზავნოთ ბათუმიდამ ბევრი ქვრივ-ობოლი აფხაზები სუხუმში. მადლობა ღმერთს!

მე მითხრეს, რომ მაჭახელაში აქვს ერთს კაცს არაბულ ენაზედ დაწერილი თამარ მეფის ცხოვრებაო. ვეცდები ის წიგნი ჩავიგდო ხელში და ვათარგმნინო ყადს ან ძოლას და სულ თუ არა, შინაარსი მაინც ამ წიგნისა გავაცნო თქვენი გაზეთის მკითხველებს.

თ. დ. ნ.

ზაქათალის მაზრიდამ, (დასასრული)

10 ნოემბ. ქ. ზაქათალის (ჭარულად ზაქარიას თალა-სადგომი) ადგილი მიწა ჭარელების სოფლად იყო და მაშასადამე მათს საკუთრებას შეადგენდა, ამ ქამად მთლად ჩარჩ-მჯილების საკუთრებად ითვლება. აქაური ქვით-კირის სახლები მომეტებულად ჭარელების ნაშენებია აწ-კი ზოგიერთ ცვლილებით გადაკეთებულია ევროპიულ სახლებად და ეკუთვნიან ეჭრებს. მთლად ქალები [illegible] სულ მათიცა ხელშია. ამ ათის წლის წინათ მთავრობა დარწმუნებული იყო ჭარების ხალხზედ განმანათლებელ გაელენაზედ და ამისთვინ მათ ძალიან ხელსაც უმართავდნენ; მაგალითებრ როგორც ან განსვენებული შელკოვნიკოვი. ამ თავიანთ მდგომარეობით ეჭრებმან ძალიან კარგათ ისარგებლეს. დაუწყეს ხალხს მოტყუება და ცარცვა, მერმე რა ნაირად: ამ მშვიდ-რეა წელში მარტო შულო ძაფის მქონე ეჭრები საშინლად გამდიდრდნენ. ილაჯ განწყვეტილებმა ჭარელებმა დაიწყეს მღელვარეობა. ამას მოემატა ჯარიმების გადახდევინება. უფრო გაჭირდა საქმე ჭარელებისა რას მოსძებნიდა კარგს საშვალებას ჭარელი თავის გაუნათლებელს თავში. უფრო მომეტებულმა მაჰმადიანებმა, მოლლებით დარიგებულებმა ირჩიეს სტამბოლში გადასახლება, ლარიბებმა კი პირ-და-პირ უკმაყოფილების გამოცხადება...

ეს ალიაქოთი მითი გათავდა, რომ ზოგნი სტამბოლში შიმშილით დაიხოცნენ და ზოგნი კი მის გზაზედ. მეორე ნაწილს კი დაუწყეს ციმბირში გზავნა. მოხუცი ჭარელები მელ-ჰარაკებოდნენ, ზოგიერთს წელიწადს ორმოც-და-ათამდინ ვისტუმრებდითო ციმბიროშიო. მანვე მიამბო ერთს დროს ს. ჭარი ორი ათას კვამლზედ მეტს შეიცავდაო; ამ ქამად კი ეს სოფელი ნახევარზედ მომეტებულად დაცარიელებულა და გავირანებულია. ხშირად დაინახავთ აქ ჩინებულად ერთს დროს განსვენებულს სხვა-და-სხვა ნაყოფიერ ხეხილებით ეზოს

ფელეტონი

მოგზაურობა საინგილოში

(დასასრული)

ამ ეკლესიის გარშემო იყო დიდი დაბურული ტყე, შორს სოფლიდგან. კმაროდა ერთი მშიერი მგლის, ანუ დათვის, ანუ სხვა მხეცის წვევა, რომ ეს სამი უიარაღო მგზავრი მსხვერპლად გამხდარიყო.

აქედგან მათ ჩქარის სიარულით ჩაიარეს და რამდენიმე მინუტის შემდეგ ჩავიდნენ ერთს დიდ ღელეში, რომელშიაც მოკამკამებდა ანკარა წყარო.

სამივე მგზავრი ფრთხილათ ჩავიდნენ ღელეში, დასხდნენ მშრალ ადგილას წყლის პირზე, ზევიდგან მათ ჩრდილავდა დახლართული ტოტები სხვა და სხვა ხეებისა ასე, რომ მზეს ერთი სხივიც ვერ იხედებოდა ქვეითი. მგზავრებმა გაიგრილეს შუბლები, კუჭები.

აქ რო დაისვენეს, მერე წამოდგნენ და გაჰყვნენ ამ წყალს ქვეითკენ. წყალმა მიიყვანა იგინი იქამდე, სადაც იყო უწინდელი კალოები, ეზოები, ხეხილები (ლეღვის, თუთის ხეები) აქვე მიაგნეს მათ ერთ პირღია ორმოს, რომელშიაც საშინლად ბნელოდა.

—ეს ორმო პურის ორმო ხომ არ ყოფილა ნეტავი? სთქვა ერთმა მეგობარმა.

—ვინ იცის. ჩემის აზრით, ეს ორმო პურისა არ უნდა ყოფილიყო, არამედ ქრისტიანი ქართველების სამალავი, ე. ი. როცა მტერი ეცემოდა აქაურობას, აქაური ხალხი ამისთანა უდაბურ ადგილებში იხიზნებოდნენ, ორმოებს სთხრიდნენ და შიგ ცოლშვილით იმალებოდნენ, ამ ორმოს შესახებ ეს ნათქვამი ჭკუაზე ახლოა რადგან ორმო მეტათ დიდია; პურს ამისთანა ორმოში არ მნახავენ. ბარდა ამისა ორმოს ძირში იყო ნახშირი. შიგ ჰქონიათ ცეცხლი. აგერ წყალიც ახლო ჩაუდის ორმოს. ძნელი არ იქმნებოდა მათთვის აქ ცხოვრება.

ამ გვარ ლაპარაკის შემდეგ სამმა მეგობარმა ორმოს პირი ისრეევ გააკეთა როგორც იყო საუკუნოობით უწინდელი ქართველისაგან გაკეთებული და ცმაცუნით გასწიეს ქვეითკენ.

მიეიდნენ ერთ საუცხოო ციე წყალამდე („ციე წყაროო“ ინგილოურად ჰქვია), რომელიც დიდის კლდიდგან გამოჟუჟუნებდა. აქ დაისვენეს იმათ, წყალი დალიეს და გასწიეს. ეს წყალი ზაფხულში ისრე ციეა, როგორც ზამთრის წყალი, ზამთარში კი თბილი.

ირეს და მიეიდნენ ერთ უწინდელ დანგრეულ ეკლესიასთან, სახელად „თეთრი საყდარი“. ეს საყდარიც დანგრეული და გიოხრებული დახვდათ. ეკლესიის კედლებში იყო პატარა ჭურები ჩადგმული.

—ეს ჭურები რისთვის ყოფილან ნეტავი საჭირონი, რომ კედლებში ჩაუდგამთ უწინდელ ქართველებს?

—ამ ჭურებში მტრის დაცემის დროს ეკლესიის მოძღვარნი ჰმალავდნენ ეკლესიის სიმდიდრეს, ე. ი. ფულს და ძვირფასს ნივთებს. სხვა ეკლესიებს აქვთ ხოლმე სამალავი ოთახები, როგორც მცხეთის სვეტი-ცხოველის ეკლესიას. აი ამ სამალავი ოთახის მაგვრათ აქ ყოფილან ეს ჭურები. მტერს ეს საიდუმლოც გაუგია და ამოულაგებია ამ ეკლესიებიდგან ყოველი სიმდიდრე. რასაკვირველია, რომ ყოველ ეკლესიის გარშემო არის სასაფლავო. ესლანდელი ეკლესიები კი განშორებულია სასაფლავოებს.

იმგრგელივ გალავნით შემოვლებულს და შუაში ქვით-კირის სახლის ნანგრევებს....

ესე, ჩემო კეთილო მკითხველო, პოლოს-ქარაპეტები გამდიდრდნენ, ულირს მოხელეებმა ჯიბეები გაიტენეს ჯარიმის ფულეთით, ჭარელები კი ხელ-მეორედ გაისრისნენ და მთავრობის წინაშე გახდნენ დამნაშავედ გაიძვერა ნაქეზების გამო. — ჭარელები რომ ჩვენს მაზრაში ყველაზედ ჭკუა-გამჭრიახე ხალხია, ამაში ეჭვე არ არის. შარშან, ლეკების აჯანყების დროს, ყველა, მეტად ესენი, იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ისინი თავიანთ გუდა-ყაყტით და ჩახმახიან (ტალ-კესიან) თოფებით და კომბლებით ვერას განაგებენო ი

ინი, და თუ ჩამოესივნენ მაზრაში, ჩვენ ზაქათალის ციხეს მათ არ მივსცემთო და ჩვენვე დავიჭერთო. ახლანდელი მათი მდგომარეობა ყველა ნაწილებზედ უმჯობესია. მათი ნაიბი მათივე მოყვარე და მოძმე შამან-ალა არის. მხოლოდ ეს უკანასკნელი, თავის გაუნათლებლობის გამო ჩვენებური შკოლის საქმეს სრულიად ყურს არ უგდებს.

ინგილოელი

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავგანისტანი

ავგანისტანის წინააღმდეგ გაგზავნილის ინგლისის ჯარის უფროსი ლენ. ბრაუნი დეპეშით აცნობებს თავის მმართებლობას, რომ ალიმაზჯიდის აღების დროს ჩვენ დაგვრჩა ხელში 10 ზარბაზანი მტრისა, ბევრი დაჭრილები და საქონელია. ინგლისის მხრით ამ შეტაკების დროს 2 აფიცერი მომკვდარა, ერთი დაჭრილა, ამას გარდა 40 სალდათამდინ არის დაჭრილია. ლენ. ბრაუნის კორპუსი ამ ჟამად ქ. ხანისაკენ მიდის.

— ლონდონის გაზეთი „მორნინგ პოსტ“ ამბობს, რომ როცა ჩვენ (ინგლისელები) გავიმარჯვებთ ავგანელებზე, ჩვენი პირობა ეს იქნებაო: ქვეტი და ჯელალაბადი უნდა დავიჭიროთ და ქაბულში, ქანდაგარში და ბერატში უნდა გვყვანდეს კონსულები.

— რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ლონდონიდამ 10 ნოემბერს მიღებული დეპეშა, რომ ინგლისის ჯარები სამის მხრიდამ გადავიდნენ ავგანისტანის სამზღვარზედაო.

ოსმალეთი

საბერძნეთს გამოუცხადებია ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ ის არ დაკმაყოფილდება მარტო თესსალიის ერთი მაზრის დათმობით და თხოულობს, რომ შეასრულოს ყველა პირობები ბერლინის ტრაქტატისა. ოსმალეთი თავის მხრით ამაზე არ დათანხმებულა და ამასთანავე განკარგულება მოუხდენია, რომ იმისაგან დანიშნული დელეგატები არ წავიდნენ საბერძნეთის სამზღვრების შესასწორებელად.

ბოლგარია

ბოლგარიისა და მაკედონიის ხალხის აჯანყება თან-და-თან ვრცელდება და ძლიელდება. ერთს ვენის გაზეთში მოყვანილია შემდეგი პროკლამაცია, რომელიც აჯანყებულების მოთავეს ვეზენკოვს მიუწერია ბოლგარიის ძველი ქალაქის ოსრიდის მცხოვრებთათვის, რომელნიც ამ არეულობაში არ იღებდნენ თურმე მონაწილეობას:

„ოსრიდის ახალგაზდებო! ნუთუ გადაშენდით? ნუთუ თქვენში ძველი მამა-პაპის სისხლი აღარ ადუღებს? რაგვარ-დავიჯერო, რომ თქვენ დაჰკარგეთ ძველი მხნეობა, მამულის სიყვარულის გრძნობა! სადა ხართ? მამული გიხმობთ. თქვენ. დროც ახლაა, თუ გულში კიდეელა გიღვივისთ სამშობლოს სიყვარული. ოსმისათვის, მტერთან საბრძოლველად მოგიწვევეთ! სანიმ მზე რვაჯერ გადაიხრება დასავლეთისაკენ თქვენს ჩეძს-ბანაკში უნდა იყვნეთ მოსული!“

მართლაც სამი დღის განმავლობაში მთელი ოსრიდის ახალგაზდობა ვეზენკოვის ბანაკში წავიდა.

გერმანია

ბერლინიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, ბერმანიის ძთავრობამ წინადადება მისცა ევროპის სახელმწიფოებსაო, რომ საზოგადო ლონის-ძიება და საშუალება იხმარონ ინტერნაციონალურ საზოგადოების მოსასპობელად.

რუსეთი

გაზეთს „ტელეგრაფში“ იწერებიან:

„რუსეთი და ინგლისი უიმისოთაც არ არიან ერთმანეთში მეგობრად, უიმისოთაც ერთმანეთს ორმოს უთხრიან და ახლა, როდესაც ავგანისტანთან ომი დაიწყო, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენი და ინგლისის ინტერესები შეიტაკონ და აქედამ წარმოსდგეს ამ ორი დიდი სახელმწიფოს ბრძოლა. საფეთქი მასალა ბლომად არის მოგროვილი, ერთი ნაბერწკალი კმარა, რომ საშინელი შეტაკება მოხდეს. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდება...“

—იმ შიშიანობის დროს ხუცები ბა სად გაასეენებდნენ მკვდარს, თუ არა თავის საყდრის ადგილებში.

ქარგა ხანს დაკვირვებით რომ გაშინჯოს ეს ოეთრი საყდარი (თეთრი თლილი ქვით აშენებული), რომელიც გორის ძირში ახის მიწა „კეჭენში“ იმყოფება, გამოვიდნენ აქედგან, დაადგნენ ურმის გზას და მცირე რომ წავიდნენ დაინახეს ერთი ახლად გამოჩენილი უწინდელი სამარე.

აქ გაჩერდნენ. ერთი-ორ მინუტის განმავლობის შემდეგ მათ წინ ეწყოთ ძველები უწინდელი ქართველისა და დიდის ბეჯითობით შინჯავდნენ მათ.

—ეს მკლავის ძვალი უნდა იყოს; მაგრამ რა სქელი და გრძელი ძვალია; ეტყობა, გრძელი კლავები ჰქონია ამ დალოცველისშვილს.

—ეს თავის ძვალიც მაგ ძვლის პატრონისაა, იტყობა დიდი ხნის ძვლებია, რადგან ამ რიგად დამპალან. (ხელში რომ გაგესრესა ნაცრად იქცეოდა).

ეს სამარე რომ გაშინჯეს, კარგა დაღალულები და მშიერები იყვნენ. დილით გამოსულებს პირში ლუკმა არ ჩაედოთ, თუმცა სადილობის დრო გადასულიყო. დაღალულმა მგზავრებმა ბოლოს მიაქციეს თვისი დაღალული ყურადღება მეორე ეკლესიასაც, რომელიც იქავე ახლოს იყო. ესეც ოეთრი საყდარია (ჩვენებურად). ამ ეკლესიის ხვედრიც იგეთია, როგორც სხვებისა. ამასაც აქვს თვისი ჭურები კედლებში.

ორიოდე ვერსი სავალი გზა ჰქონდათ შინამდინ. ბ ლიეს-ძლიეს დაღალულებმა მიაწიეს სახლში და ნოყიერი საჭმლით და ტკბილი ალერსით დედ-მამისა ლონე მოიბრუნეს.. ყველა ნანახი კი ლრმად გულ ში ჩაურჩათ.....

—

ამ სტატიის წერაში ეცდილობდი გადმომეცა მკითხველთათვის ნამდვილი და ჭეშმარიტი ფაქტები. წერის დროს იმ აზრით ხელთმძღვანელობდი, რომ მიმექცია ყურადღება ქართველთა მკითხველისა ამ გამოჩენილ და მეტათ საინტერესო ადგილთადმი. ეს ყურადღება ძვირად ღირს ინგილოებისათვის:

ინგილოებს ჯერ ეხლაც ქართველები და თვით მათი მეზობლებიც—ახელ-ქიზიყილები ვერ იცნობენ. ქიზიყელები და კახელები მათ ქვეყანას ეხლაც უწოდებენ სალეკოს და ურჯულოების ქვეყანას.

მიკვირს—თუ როგორ დაუდევრად ჩვენი განათლებული პუბლიკა უყურებს საინგილოს, სადაც დიდი ისტორიული მასალები და ნაშთები იპოვებიან. მგონია, რომ ოსმალოს ქართველები უფრო განათლებულნი და უფრო მეტად ქართველები არიან ხასიათით, ვინემ ჩვენი ინგილო-ქართველი.

1865 წლიდამ მოკიდებული ჩვენს გაზეთებში გამოდის საინგილოზე წერილები. ამ დრომდე ჩვენმა ქართველებმა თითქმის არ იცოდნენ, რომ ბარეთ-ახეთში არის ქართველი ხალხი—ინგილოები. მას აქეთ აგერ 13 წელიწადია და ჯერ ერთს ქართველს კი არ გადუდგამს ფეხი იქითკენ, ყველა მიეშურება ოსმალოსკენ. უფ დ. ბაქრაძემ გამოსცა თავისი შესანიშნავი შრომა აპარაზე,—რა იქნებოდა, რომ საინგილოსკენაც ფეხი გადაედგა და იქაურობაც გაეშინჯა.

მ. ჯანაშვილი

1878 წელს

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 16 ნოემბერს. რადგან სპარსეთის ჯარები ავგანისტანის საზღვრისაკენ მიდიან ამის გამო ემირმა ბერატში დააბრუნა თავის ჯარი.

ყანდაჰარში გაგზავნილ კაცებმა მოიტანეს ამბავი, რომ ავგანელნის ჯარები-პეივარიდამ გასულან და ბურიაში გაჩერებულანო. ავგანელებს ახალი ჯარები მოდისთ ყუშიდამ.

ბერლინი, 71 ნოემბერს. გაზეთებში იწერებიან, რომ ლეს აქაურ პოლიციის უფროსმა სოციალურ-დემოკრატიის პარტიის უმთავრესს წევრებს—40 კაცს—გაუგზავნა ბრძანება, რომ ქალაქიდამ გაეიდნენ. ბანდეენილების რიცხვში ურევიან დეპუტატები ბესელმანი და ფრიცშე.

ლივადია, 17 ნოემბერს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ ხელმწიფე იმპერატორი მოსკოვში წაბრძანებულა, პეტერბურღში 22 ნოემბერს მიბრძანდება.

ლონდონი, 17 ნოემბერს. ინგლისი წინააღმდეგია იმისი, რომ რუსებმა მერვა დაიკავონ.

ლონდონი, 17 ნოემბერს. აქ იმედი აქვთ, რომ პარლამენტის გახსნამდინ ინგლისის ჯარები დაიჭერენ იმ ნაწილებს ავგანისტანისას, რომლის საჰუდამოთ მითვისების განზრახვაც აქვს ინგლისსა.

ბერლინი, 17 ნოემბერს. მომავალ კვირაში აქ მოელიან თ. ბორჩაკოვს, რომელიც ცოტა ხანს დაჰყოფს აქ და შენდეგ პეტერბურღში წავა.

პეტერბურღის ბირჟა, 18 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	97	— „
მეორესი	95	25
მესამესი	95	25
მეოთხესი	95	12
აღმოსავლეთის პირ.	91	75
აღმოსავლეთის მეორე	91	25
ოქრო, ½ იმპერიალი	8	39
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	—	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	235	25
მეორე სესხის	228	55

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	23	43	პენსი
ამსტერდამი	118	—	„ ცენტი
ბერლინი	200	—	„ ჰფენიგი
პარიჟი	246	50	სანტიმი
ავკასიის კერასინი	—	„	„

განცხადებანი

პირუტყვების დამცველთა თფილისის **საზოგადოების** ეიცეპრეზიდენტი დ. ი. ყიფიანი სთხოვს ამ სასოგადოების წევრთა, რათა მობრძანდნენ თავს მჯდომარის ამოსარჩევად და საქმეების განსახილველად საზოგადოკრებაზედ, რომელიც იქნება ამ თვის 21-ს, საღამოს 7 საათზე ქალაქის რჩევის სადგომში. შეუძლიანთ მოსელა აგრეთვე გარეშე პირთაც.

2—1

ქალაქის გამგეობისაგან.

რადგან დანიშნული დღეს, 15 ნოემბერს, არ აღმოჩნდნენ მსურველები, რომელთაც ეკისრათ შეშის მოტანის იჯარით აღება მეტეხისა და საპყრობილისათვის, აგრეთვე მთავარ სატუსაღოს საყარაულოსათვის, ჟანდარმის გამგეობისა და ცხენოსან ჟანდარმების კომანდისათვის, ამის გამო ქალაქის გამგეობა ხელ-ახლად ნიშნავს ამ საგანზე ვაჭრობას ამა წლის ნოემბრის 25-სთვის და ამაზედ საყოველთაოდ იცხადებს.

3—2

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; **„რძალი, ფული და მაშენიკები“**—თ ფ ი ლ ი ს ი ში: ბრიკეროვის, ვართანოვის და ჩარკეიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: ბიორგი ბარათოვთან, ბ ო რ ს ი ში: ზაქარია დონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს ი ში: თ. ვანო თაქთაქოვთან, ს ა ქ ა ნ ე თ ს: თ. ნიკო დიასამიძეს, ნ ი ჯ ვ ა რ ი ს ხ ე ვ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: ი ო რ დ ა ნ ე სიხარულიძესთან, ფ ო თ ი ს ი ში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—**„ოცლი ვიტირო, თუ ფული?“**

(6—3)

იქავ ისყიდება იმისივე

„იგავ-არაკნი“

გამოკრიბილნი საბა-სულხან ორბელიანის **„სიბრძნე-სიცრუიდამ“** და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

ფასი ოქრი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორ. . . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5[illegible]			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42

ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტ ედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3	4	1	69
ყვირ ლა . .	1	18	ღამე.		3	98	2	21
სურამ . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა . . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვი, ოდესას, მოსკოვ	2	—
პეტერბურღს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და ს ერბიაში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბაქეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთის კენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პ რასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
და სამზღვარ გარეთ:		
ერთ წიგნის		4
ერ ბ ჭდილის (ბ.ზი ბისხალი) .		8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 16 ნოემბერს.		
ფქვ. თეთ. ბანჯ ნა, ფუთ.	1	90
ფ ვილი წითელი . . .	1	50
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევ ისა, ფუთ .	6	50
—ამერიკი ა, ფუთი . .	7	40
ბაპენტ ი ბ ბა ფუთ.	10	—
მატყი თუშური ფუთი	8	50
—თარაქამ ა ფუთი . .	4	60
ბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონ, ფუთი	5	60
ქონ ნ სანთ ლი ფუთი .	6	80
სტეარინის ს ნთ ი, ფუთ.	12	40
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	30
—ფხვნილი ფუთი . . .	6	40
ყავა გრგვ ლი, გირვ . .	—	70
ჩეი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ს ფუ ლ ფუთ.	6	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნ ს მაიდანზე, წ ნამძღვარ ოვ ს სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბ ა ر ლ ე ვ ი ჩ—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—საჯარო ექიმი და საშეილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინ.გ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალ.ს.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინ.გ.ნი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინ.გ., ქ ი უ ჩ ა რ ი ა ნ ც—იფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშ ევი-შ-ნ.გ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალია და ბავშვებს.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალ.ს.

Дозволено цензурою. Тифлисъ 18 Ноября 1878 г. Типографія Меликова. ბეჭდავს. ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.